

ლევან ზაკალაშვილი*

ქრთამის აღების გამიჯვნის პრაქტიკული პრობლემები საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისაგან

კორუფციასთან ბრძოლა გლობალურ და ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემას წარმოადგენს ქვეყნებისთვის. ქრთამის აღება, კორუფციულ დანაშაულებიდან ყველაზე მძიმე დანაშაულია ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით. თუმცა კორუფციული დანაშაული, ქრთამის აღების გარდა, შეიძლება ჩადენილ იქნას სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ისეთი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებით, როგორებიცაა „მითვისება ან გაფლანგვა“ და „თაღლითობა“. ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, ხშირად პრობლემურია მექრთამეობის გამიჯვნა ნახსენები საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისგან. სტატია ეძღვნება (პრაქტიკაში) სასამართლო და საგამოძიებო ორგანოების გადანყვეტილებებში ამ კუთხით არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების წარმოჩინებას და ამ დანაშაულების ერთმანეთისგან გამიჯვნის, შესაბამისად ქმედების მართებულად კვალიფიკაციის პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზებას.

საკვანძო სიტყვები: კორუფცია, მექრთამეობა, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება, კვალიფიკაცია.

1. შესავალი

კორუფცია (corruptio) ლათინური სიტყვაა და პირდაპირი აზრით ნახდენას, გაფუჭებას, მოსპობას, ცდუნებას, გარყვნას, მოსყიდვას, დამახინჯებას, ფალსიფიცირებას ნიშნავს¹. კორუფცია მსოფლიოში ერთ – ერთი აქტუალური და პრობლემური საკითხია. ევროპული კონვენციის პრეამბულის მიხედვით, „კორუფცია წარმოადგენს საფრთხეს სამართლის უზენაესობისათვის, დემოკრატიისათვის და ადამიანის უფლებებისათვის, საფუძველს უთხრის კარგ მმართველობას, სამართლიანობას და სოციალურ თანასწორობას, ხელს უშლის კონკურენციას, აფერხებს ეკონომიკურ განვითარებას, საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ ინსტიტუტებს და საზოგადოების ზნეობრივ ფასეულობებს.“² კორუფციის სახელმწიფოსთვის დამანგრეველ ეფექტზე მიუთითებს ასევე „კორუფციის წინააღმდეგ“ გაეროს კონვენციის წინასიტყვაობაში იმდროინდელი გაეროს გენერალური მდივნის კოფი ანანის სიტყვები, რომელიც კორუფციას ადარებს მზაკვრულ სენს/ჭირს (insidious plague).³ საქართველო სხვა საერთაშორისო დოკუმენტებთან ერთად, არის ამ ორი უმნიშვნელოვანესი კონვენციის ხელშემკვეთი მხარე და ვინაიდან მსოფლიოს ცივილიზირებული ქვეყნები შეთანხმდნენ კორუფციის დამანგრეველ ეფექტებზე და დაიწყეს დასავლეთის ქვეყნებმა კორუფციის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა, საქართველომაც 1991 წელს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, განახორციელა შიდა საკანონმდებლო ჩარჩოების შექმნა და საერთაშორისო კანონმდებლობის იმპლე-

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონვეული ლექტორი, დოქტორანტი. <https://orcid.org/0009-0009-7802-0232>.

¹ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონული ენციკლოპედიური ლექსიკონი <<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=3657>> [14.03.2023]

² Preamble of Criminal Law Convention on Corruption (Council Of Europe; Strasbourg, 1999).

³ იხ. Foreword of United Nations Convention against Corruption (New York, 2004). <https://www.unodc.org/documents/treaties/UNCAC/Publications/Convention/08-50026_E.pdf> [15.03.2023].

მენტაცია. სისხლის სამართლის კოდექსში შესაბამისი მუხლების იმპლემენტაციის გარდა, 1997 წლის 17 ოქტომბერს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი, „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის და კორუფციის შესახებ კანონი“, რომელსაც 2022 წლის 30 ნოემბრის ცვლილებით ეწოდა „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონი,⁴ რომლითაც განმარტებულია თუ რა ითვლება კორუფციულ სამართალდარღვევად. ამასთან, 2005 წლიდან დღემდე, პერიოდულობით მტკიცდებოდა საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია და მისი განხორციელების გეგმები, რომლის მიზანი იყო კორუფციასთან ეფექტიანი ბრძოლა⁵. ბოლო ათწლეულების მანძილზე გატარებულმა რეფორმებმა, საქართველო დაახლოვა ევროკავშირში ინტეგრაციას, რომელიც თავისთავად კიდევ უფრო მეტ ვალდებულებებს წარმოშობს კორუფციასთან ბრძოლის ეფექტიანობის კუთხით. საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოს აქვს ვალდებულება დანერგოს მნიშვნელოვანი საერთაშორისო სტანდარტები კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად, ორივე, როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში⁶, რადგან ცნობილია, რომ კორუფცია შეიძლება იყო როგორც საჯარო სამსახურში, ისე კერძო სექტორში.

როგორც მართებულად უთითებენ, „სიტყვა კორუფციას მრავალი მნიშვნელობა აქვს, მით უმეტეს, როდესაც საქმე ეხება სამართალს და მთავრობას, დაწყებული მარტივი მექრთამეობით და დასრულებული ისეთი შეთანხმებებით/მოლაპარაკებებით, რომლებიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს საკონსტიტუციო და საერთაშორისო სამართალზეც კი.“⁷ აქედან გამომდინარე, დღეისათვის, კორუფცია, არა მარტო შიდასახელმწიფოებრივ, არამედ აქტუალურ საერთაშორისო პრობლემას წარმოადგენს. კორუფციაში ნამდვილად არ იგულისხმება მხოლოდ მექრთამეობა. „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, „კორუფცია არის, პირის მიერ თანამდებობის ან მასთან დაკავშირებული შესაძლებლობის გამოყენება კანონით აკრძალული ქონებრივი ან სხვა სიკეთის მიღების მიზნით, აგრეთვე მისთვის ამ სიკეთის გადაცემა ან მის მიღებასა და დაკანონებაში ხელის შეწყობა.“ შესაბამისად, კორუფციული დანაშაული შეიძლება განხორციელდეს როგორც თანამდებობრივრეულ-მოვალეობების შესრულებისას საჯარო მოხელის მიერ ქრთამის აღების გზით (რომელიც გათვალისწინებული სსკ-ის 338-ე მუხლით, კერძო სექტორში – სსკ-ის 221-ე მუხლით), ასევე სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, სახელმწიფოს ან კერძო პირის ქონების მითვისება ან გაფლანგვის ჩადენის გზით (გათვალისწინებული სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით). საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული „მითვისება ან გაფლანგვა“ (ამ დანაშაულის აღსანიშნავად ინგლისურ ენაზე გამოიყენება ძირითადად სიტყვა „Embezzlement“, ზოგჯერ – „Misappropriation“) კორუფციულ დანაშაულად მიიჩნევა საერთაშორისო დოკუმენტებშიც და ზემოაღნიშნულ გაეროს „კორუფციის წინააღმდეგ“ კონვენციის მე-17 და 22-ე მუხლები აკისრებს ვალდებულებას

⁴ საქართველოს კანონი „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, 17/10/1997.

⁵ მაგ. იხ. საქართველოს პრეზიდენტის N550 ბრძანებულება „საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ 24/06/2005, (ძალადაკარგულია -04/06/2010)

⁶ იხ. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულება, მუხლი 17 (Association Agreement between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part. 30.08.2014).

⁷ Schroth P. W., Corruption and Accountability of the Civil Service in the United States. The American Journal of Comparative Law, vol. 54, 2006, 553–579.

ბას მხარეებს სისხლის სამართლის წესით დასჯადად გამოაცხადონ „Embezzlemen“ (მითვისება) როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში. „კორუფცია, ზოგადი განმარტების მიხედვით, არის თანამდებობის გამოყენება პირადი სარგებლისთვის. ეს მოიცავს მექრთამეობას და გამოძალვას, რომელიც აუცილებლად საჭიროებს მინიმუმ ორ მხარეს, ხოლო სხვა ტიპის თანამდებობრივი დანაშაულები საჯარო მოხელემ შეიძლება ერთპიროვნულად განახორციელოს, მათ შორის თაღლითობა და მითვისება.“⁸ როგორც აღინიშნა, მექრთამეობას საჯარო მოხელის გარდა, სჭირდება მეორე მხარეც, ხოლო ისეთი კორუფციული დანაშაული როგორიცაა მითვისება/გაფლანგვა ან თაღლითობა, მეორე მხარის გარეშე საჯარო მოხელეს შეუძლია განახორციელოს ერთპიროვნულად. კორუფციული დანაშაულის ჩადენა, ასევე შესაძლებელია სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, სახელმწიფოს ან კერძო პირის ქონების თაღლითურად დაუფლების გზითაც, რაც (გათვალისწინებულია სსკ- 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით)

თემის აქტუალობა არის სასამართლოს გადაწყვეტილებებში არსებული ხარვეზები, აღნიშნული დანაშაულების ერთმანეთისგან გამიჯვნისას და სწორად კვალიფიკაციისას. გარდა იმისა, რომ ხსენებული მუხლების შესაბამისი სასჯელები განსხვავებულია, ზოგადად „კვალიფიკაცია გულისხმობს ნორმის ზუსტ შესაბამისობას ქმედებასთან“⁹ და კონკრეტული ქმედება კონკრეტულ დანაშაულად უნდა დაკვალიფიცირდეს.¹⁰ აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სწორად განისაზღვროს პირის ქმედება არის „ქრთამის აღება“, თუ კონკრეტული საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. ამასთან, განსხვავებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ხანდაზმულობის ვადები, რადგან სამოხელეო დანაშაულების შემთხვევაში (მათ შორის 338-ე მუხლის), ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ხანდაზმულობის ვადაა 15 წელი, ხოლო სხვა ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაულის დანაშაულების შემთხვევაში (მათ შორის საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების) – შესაბამისად 6 და 10 წელი. ნაშრომის ამოცანას და მიზანს წარმოადგენს შესაბამისი პრაქტიკული პრობლემების წარმოჩინება და მათი გადაჭრის გზების შეთავაზება.

2. მექრთამეობის და საკუთრების წინააღმდეგ მიმართული კორუფციული დანაშაულების ძირითადი მახასიათებლები ქართულ კანონმდებლობაში

ქრთამის აღება, როგორც აღინიშნა, გათვალისწინებულია სსკ-ის 338-ე მუხლით და იგი ყველაზე უფრო მძიმე დანაშაულია სამოხელეო დანაშაულების თავში, რომელიც გულისხმობს „მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების, ქონებრივი სარგებლის ან სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის მიღება ან მოთხოვნა, ასევე ასეთის თაობაზე შეთავაზების ან დაპირების მიღება თავის ან სხვა პირის სასარგებლოდ, რათა ამ მოხელემ ან მასთან გათანაბრებულმა პირ-

⁸ იხ. ციტირება: Gray C.W., Kaufmann D., Article Corruption and Development, Finance & Development / March 1998, 7, <<https://www.imf.org/external/pubs/ft/fandd/1998/03/pdf/gray.pdf>> [16/03/2023].

⁹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 10 თებერვლის განაჩენი საქმეზე №57აპ.-19.

¹⁰ იხ. ნაჭყებია გ., ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, გამომც. „ინოვაცია“, თბ. 2010, 11-14.

მა თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების შესრულებისას ქრთამის მიმცემის ან სხვა პირის სასარგებლოდ განახორციელოს რაიმე ქმედება ან თავი შეიკავოს რაიმე ქმედების განხორციელებისაგან ან გამოიყენოს თავისი თანამდებობრივი ავტორიტეტი ანალოგიური მიზნის მისაღწევად, აგრეთვე განახორციელოს სამსახურებრივი მფარველობა“. აღნიშნული დანაშაულის პირველი ნაწილის სანქციით გათვალისწინებულია სასჯელი ექვსიდან ცხრა წლამდე თავისუფლების აღკვეთა, ხოლო მე-3 ნაწილით, გათვალისწინებულია – თერთმეტიდან თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთა. მოცემული დანაშაულისგან დაცული სამართლებრივი სიკეთე არის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა პრესტიჟი და ავტორიტეტი, ასევე მათი ნორმალური, კანონის შესაბამისი ფუნქციონირება.¹¹ როგორც აღინიშნა, მექრთამეობა ითვლება ორმხრივ დანაშაულად და ქრთამის აღება აუცილებლად გულისხმობს ქრთამის მიმცემი სუბიექტის არსებობას, რომელს ქმედება ცალკე სსკ-ის 339-ე მუხლით ისჯება.

რაც შეეხება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილ მითვისებას, რომელიც გათვალისწინებულია სსკ-ის 182 მუხლის, მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, როგორც ნესი, ამ კორუფციულ დანაშაულს ჩადის თანამდებობის პირი ერთპიროვნულად, სხვა აუცილებელი თანამონაწილის გარეშე. ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებელი არის სპეციალური პირი, რომლის მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში არის ქონება, ხოლო მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შემთხვევაში კი, შეიძლება ამ დანაშაულის ამსრულებელი, ქრთამის აღების დანაშაულის შემადგენლობის მსგავსად იყოს, საჯარო მოხელე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-მუხლი ადგენს ამ დანაშაულის დეფინიციას: „სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგო მითვისება ან გაფლანგვა, თუ ეს ნივთი ან ქონებრივი უფლება მიმთვისებლის ან გამფლანგველის მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში იმყოფებოდა“. აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტისთვის (მითვისება ან გაფლანგვა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით) ამ დანაშაულის ჩადენისთვის, დაწესებული სანქციით, სასჯელის სახით გათვალისწინებულია ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე. ეს მუხლი მითვისებასთან ერთად, ადგენს გაფლანგვის დეფინიციასაც, თუმცა ამ შემთხვევაში მსჯელობა იქნება მითვისებაზე. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლით, მითვისება და გაფლანგვა ერთმანეთისგან ხელოვნურადაა გამიჯნული და შესაბამისად, პრაქტიკაც მიჯნავს მათ იმის მიხედვით, თუ ვის სასარგებლოდ მოხდა ქონების უკანონო დაუფლება (თუ დამნაშავის სასარგებლოდ – მიიჩნევა მითვისებად, – სხვის სასარგებლოდ – გაფლანგვად). ასეთი მსჯელობაა განვითარებული ქართული იურიდიული ლიტერატურაშიც, სადაც აღნიშნულია, რომ მითვისება გამოიხატება სხვისი ქონების უკანონო დაუფლებაში **თავის სასარგებლოდ**¹² და მიჩნეულია, რომ მითვისების დროს დამნაშავე მოქმედებს იმის სურვილით, რომ ქონება თავის სასარგებლოდ მოაქციოს.¹³ მაშინ როდესაც ევროპული ქვეყნების კანონმდებლობაში, მითვისება გულისხმობს როგორც თავის სასარგებლოდ ქონების დაუფლებას, ასევე სხვის სასარგებლოდაც და კვალიფიკაციაზე არ ახდენს გავლენას ის, თუ ვის სასარგებლოდ მოხდა

¹¹ ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., წიგნში: ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, თბ., 2020, 390.

¹² ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., წიგნში: ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მეშვიდე გამოცემა, თბ., 2019, 521.

¹³ ნულაია ზ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, (II ტომი), თბ., 2001, 90-91.

დაუფლება. მაგალითად, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 246-ე პარაგრაფით, გათვალისწინებულია მითვისება, რომელიც გულისხმობს არამხოლოდ თავისთვის, არამედ სხვისთვის, მესამე პირისთვის მითვისებაც. გერმანიაში მესამე პირის, მითვისებაში (ჩართვის) დამატების მიზეზი იყო, ის რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის თავის დაღწევა არ მომხდარიყო დამნაშავეს მიერ საკუთარი თავისთვის მითვისების უარყოფით.¹⁴

როგორც ირკვევა, სსკ-ს 182-ე და 338-ე მუხლების ამსრულებელები შეიძლება იყვნენ იდენტურნიც. არაა სადავო, რომ ორივე შემთხვევაში დამნაშავეს მოტივი ანგარებაა, მაგრამ მათ შორის განსხვავება არის ის, რომ სსკ-ის 338-ე მუხლის შემთხვევაში მოხელე ქონებას ან სხვა რაიმე ქონებრივ სიკეთეს იღებს (მდიდრდება) სხვა პირისგან, ვისთვისაც სანაცვლოდ ახორციელებს კონკრეტულ ქმედებას, რომელიც დაკავშირებულია მის სამსახურთან, ხოლო სსკ-ის 182-ე მუხლის შემთხვევაში, პირი მდიდრდება არა მესამე პირის მიერ გადაცემული ქონებით, არამედ საჯარო თუ კერძო ორგანიზაციის ქონების ხარჯზე, რომელიც პირის მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაშია.

როგორც წესი, პრაქტიკაში როდესაც წარმოიშვება პრობლემა, იმის შესახებ თუ რა მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს მომიჯნავე დელიქტები, პირველ რიგში, საჭირო ხდება ამ ნორმების სწორად განმარტება. ნორმის განმარტება გულისხმობს მისი შინაარსისა და დანიშნულების გარკვევას, ე.ი. იმის დადგენას, თუ რა შინაარსი ჩააქსოვა მასში კანონმდებელმა.¹⁵ გარდა კლასიკური განმარტების მეთოდებისა, არსებობს კიდევ, შედარებით-სამართლებრივი მეთოდი. შედარებით-სამართლებრივ მეთოდს ხშირად სამართლის განმარტების მეხუთე მეთოდსა უწოდებენ.¹⁶ ნორმის შინაარსის გარკვევა იწყება გრამატიკული განმარტებით.¹⁷ ამ შემთხვევაში, როდესაც ვერ ხდება პრაქტიკაში გამიჯვნა ქრთამის ალების და საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების, პრობლემას ნორმის არასწორად განმარტება ნაკლებად წარმოადგენს. ხშირად ასეთი ქმედების კვალიფიკაცია ვერ ხერხდება იმიტომ, რომ არ ხდება ფაქტობრივი გარემოებების და პრაქტიკული ნიუანსების დადგენა/გამოკვლევა. ასეთი პრობლემა წარმოიშობა არა მხოლოდ სსკ-ის 338-ე მუხლის სსკ-ის 182-ე მუხლისგან გამიჯვნისას, არამედ სსკ-ის 180-ე მუხლისგან გამიჯვნის დროსაც, როდესაც თაღლითობა, ანუ ქონების მოტყუებით დაუფლება ხდება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. როგორც აღინიშნა, სსკ-ის 182-ე და 180-ე მუხლის შემთხვევაში, კორუფციულ დანაშაულს დამნაშავე ჩადის ერთპიროვნულად, თუმცა როდესაც ამ დანაშაულების განხორციელების დროს ჩნდება მეორე მხარე, რომელიც თანამდებობის პირს ეხმარება დანაშაულის ჩადენაში, სწორედ ამ დროს წარმოიშობა ქრთამის ალების სხვა დანაშაულებისგან გამიჯვნის პრობლემა.

3. ქმედების კვალიფიკაციის პრაქტიკული პრობლემები

როგორც აღინიშნა, სსკ-ის 338-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის -ქრთამის ალების – გამიჯვნის პრობლემა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისგან, მაშინ დგება, როდესაც თანამდებობის პირს საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის

¹⁴ იხ. *Kühl in: Lackner/Kühl, Strafgesetzbuch: StGB Kommentar*, 29. Aufl. 2018, § 246, Rn 8.

¹⁵ *ინკირველი გ.*, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბ., 2003, 171.

¹⁶ *Häberle P.*, Grundrechtsgeltung und Grundrechtsinterpretation im Vefassungsstaat Zugleich zur Rechtsvergleichung als „fünfter“ Auslegungsmethod, in.: *Juristische Zeitschrift*, 1989, 193.

¹⁷ *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, თბ., 2004, 153.

ჩადენაში ეხმარება სხვა, მესამე პირი. ასეთ პრობლემები პრაქტიკაში ყველაზე ხშირად წარმოჩინდება ხოლმე ე.წ. „ატკატი“ დანაშაულებში. ე.წ. „ატკატი“, ეს არის „თანხა, რომელსაც თანამდებობის პირი იღებს კომპანიისგან ან პირისგან, რომელსაც წინასწარი შეთანხმებით უკანონოდ ან უსამართლოდ გადასცა საბიუჯეტო თანხები.“¹⁸ ასეთი ტიპის დანაშაულებს ძირითადად ადგილი აქვს სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ ტენდერით ან პირდაპირ, ტენდერის გარეშე, შესყიდვების განხორციელების დროს, რა დროსაც თანამდებობის პირი ცდილობს მიიღოს უკანონოდ რაიმე ქონებრივი სარგებელი. პრაქტიკაში ხშირად ხდება ისეთი შემთხვევები, როდესაც ასეთი ტიპის დანაშაულებს, არასწორად აკვალიფიცირებენ მექრთამეობით (ქრთამის აღებით (სსკ-ის 338-ე მუხლი) ან კომერციული მოსყიდვით (სსკ-ის 221-ე მუხლი). ეს რა თქმა უნდა, არაა სწორი, რადგან ე.წ. „ატკატი“-ს განმარტებიდანაც ჩანს, რომ რეალურად თანამდებობის პირი (რომლის გამგებლობაშიც არის უწყების საბიუჯეტო თანხები) წინასწარი შეთანხმებით, იმ მიზნით რომ მიიღებს უკანონოდ იმ თანხებს პირისგან ან საწარმოსგან, რომელიც თავადვე უკანონოდ ან უსამართლოდ გადასცა თავისივე ორგანიზაციის საბიუჯეტო თანხებიდან. პრაქტიკაში გხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც რომელიმე სახელმწიფო ან სხვა ორგანიზაციის ხელმძღვანელი (მაგალითად, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი), უწყებისთვის საჭირო შესასყიდი საქონლის ან მომსახურების შესყიდვაზე, შესყიდვის ხელშეკრულებას გაუფორმებს მასთან წინასწარ გარიგებულ საწარმოს ხელმძღვანელს და ამ ხელშეკრულების საფუძველზე ორგანიზაციიდან გადაურიცხავს პირობითად 150 000 ლარს, მაშინ როდესაც ამ ვალდებულების შესრულებისთვის სრულიად საკმარისი იყო 100 000 ლარი (ამ თანხაში საწარმოს მოგების თანხაც გათვალისწინებულია). ამასთან, ორგანიზაციის ხელმძღვანელი წინასწარ შეთანხმებული იყო მენარმესთან, რომ თანხების ჩარიცხვის შემდეგ ზედმეტად ჩარიცხულ თანხას, 50 000 ლარს, მენარმე მიუტანდა უკან უწყების ხელმძღვანელს ნაღდი ფულის სახით, ან გადაურიცხავდა მისთვის ხელსაყრელ კერძო საბანკო ანგარიშზე. ასეთ დროს კმაყოფილია მენარმეც, რადგან 100 000 ლარი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად სრულიად საკმარისი იყო და ხარჯების განევის შემდეგ ამ თანხიდან მოგებაც დარჩა და კმაყოფილია უწყების ხელმძღვანელიც, რადგან მან უკანონოდ მიიღო 50 000 ლარი.

პრაქტიკაში ხშირად, სამართალდამცავი ორგანოები, ასეთი ფაქტების გამოვლენის შემდეგ, ამ პირების ქმედებას აკვალიფიცირებენ როგორც მექრთამეობას, კერძოდ, 50 000 ლარის ქრთამის სახით აღებას და მენარმის მხრიდან, ქრთამის მიცემას. სასამართლოსაც შემდგომ ამ მუხლებით გამოაქვს განაჩენი, როდესაც უტყუარი მტკიცებულებით დასტურდება ფულის ფიზიკური გადაცემა მოხელისთვის, ისე რომ არა აქვს ფაქტობრივი გარემოებების დეტალურად მოკვლევის საშუალება შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, თუ დაცვის მხარემ არ წამოჭრა ეს საკითხი. როგორც წესი, ბრალდების დადგენილებაში იწერება ხოლმე, რომ უწყების ხელმძღვანელმა მენარმისგან, მისთვის უპირატესობის მინიჭების საწინააღმდეგოდ (რაშიც გულისხმობენ მისთვის სასარგებლოდ ხელშეკრულების ტენდერის/კონკურსის გარეშე გაფორმებას), ქრთამის სახით მოსთხოვა და აიღო 50 000 ლარი. ეს კვალიფიკაცია არაა მართებული, რადგან ყურადღების მიღმა რჩება ის ფაქტი რომ ეს თანხა თავად მოხელემ ამოიღო უკანონოდ ორგანიზაციის ქონებრივი ფონდიდან და რეალურად ასეთ შემ-

¹⁸ კორუფციის ლექსიკონი <<https://csogeorgia.org/ge/newsPost/27763>> [17.03.2023].

თხვევაში მოხელე მენარმისგან კი არ იღებს თანხას, არამედ ეს თანხა თავად ზედმეტად გადაურიცხა მენარმეს, იმ მიზნით რომ შემდგომ მას უკან მიეტანა. სწორედ ეს 50 000 ლარი არის ე.წ. „ატკატი“. ამ შემთხვევაში სახეზეა მოხელის მიერ მის მართლზომიერ მფლობელობაში და გამგებლობაში არსებული თანხების (50 000 ლარის) მართლსაწინააღმდეგო მითვისება, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ხოლო მენარმემ ქრთამის სახით კი არ მისცა ეს თანხა მოხელეს, არამედ ის ტექნიკურად დაეხმარა მოხელეს ამ თანხის მითვისებაში. შესაბამისად, მისი ქმედებაც უნდა დაკვალიფიცირდეს არა ქრთამის მიცემად, არამედ მითვისებაში (სსკ-ის 182-ე მუხლი) დახმარებად. თუკი ხელშეკრულება გაფორმებული იქნებოდა საბაზრო ფასად, პირობითად 100 000 ლარად (სადაც მენარმეს სამუშაოს შესრულების შედეგად ლეგალური მოგება უნდა დარჩენოდა პირობითად 10 000 ლარი) და არა 150 000 ლარად და მოხელე მოსთხოვდა, რომ შემდგომ თუ მისი კუთვნილი მოგებიდან 5 000 ლარს არ მისცემდა, ხელშეკრულებას გაუწყვეტდა და არ ჩაურიცხავდა კონტრაქტით გათვალისწინებულ თანხებს, ასეთ შემთხვევაში მექრთამეობას ექნებოდა ადგილი, რადგან მენარმემ მისცა თავისი კუთვნილი მოგებიდან მისვე 5 000 ლარი და არა ის თანხა, რომელიც წინა შემთხვევაში იყო ზედმეტად, უკანონოდ გადმორიცხული ორგანიზაციიდან და თავიდანვე მიზანი იყო, რომ ამ ფულს უკანონოდ დაუფლებოდა საჯარო მოხელე.

შესაძლებელია, ასეთი ე.წ. „ატკატის“ ტიპის დანაშაული განხორციელდეს პრაქტიკაში სხვადასხვა მოდიფიკაციით, მაგალითად, ტენდერის პირობები მოხელემ მოარგო ერთ მენარმეს, ისე რომ სხვა მენარმე ვერ შეძლებდა ამ ტენდერში გამარჯვებას. შემდგომ წინასწარი შეთანხმებით ჩაურიცხა ხელშეკრულების შესრულებისთვის საჭირო თანხებზე გაცილებით მეტი თანხები, იმ მიზნით რომ შემდგომ ეს თანხები უკან მიეღო მენარმისგან. ამ შემთხვევაშიც სახეზე იქნება მითვისება და არა ქრთამის აღება, რადგან, მართალია, მოხელემ მენარმეს ტენდერის პირობები ისე მოარგო, რომ უზრუნველყო მისი ტენდერში ერთპიროვნულად უკონკურენტო გამარჯვება, მაგრამ სანაცვლოდ მენარმემ თავისი თანხა კი არ მისცა ქრთამის სახით, არამედ სანაცვლოდ ის დაეხმარა მითვისების დანაშაულის ჩადენაში, რაც გამოიხატა ზედმეტად გადმორიცხული თანხების უკან დაბრუნებაში. ჩნდება კითხვა, აქვს თუ არა მნიშვნელობა ვისგან მოდის შეთავაზება, მენარმის მხრიდან თუ მოხელის მხრიდან? რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევებში, შეთავაზება ვისგან მოდის არ აქვს მნიშვნელობა, მთავარია, ვის ხარჯზე მდიდრდება საჯარო მოხელე. სწორედ ამასთან ასეთი პრობლემის გადაჭრის გზა, თუმცა ამ დეტალებში ხშირად არც სამართალდამცავი ორგანოები და არც სასამართლოები არ ჩადიან, რაც იწვევს არასწორ კვალიფიკაციას.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ თუ ორგანიზაციის ხელმძღვანელი მოხელის მიზანია, მის მართლზომიერ მფლობელობაში და გამგებლობაში არსებული ზედმეტად გადარიცხული საბიუჯეტო თანხის პირადი სარგებლის სახით უკან მიღება მენარმისგან, ეს უნდა დაკვალიფიცირდეს მითვისებად სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, საქართველოს სსკ-ის 182 მუხლის, მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით. თუ თანხა არის დიდი ოდენობის (10 000 ლარზე მეტი), მაშინ დამატებით სახეზე იქნება ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოება. იმ შემთხვევაში, თუ მენარმე თავის პირად თანხას აძლევს მოხელეს, იმის სანაცვლოდ რომ მას მიანიჭოს გარკვეული უპირატესობა (თუნდაც ტენდერის მასზე მორგება, ან უკონკურსოდ გამარჯვებულად გამოცხადება და სხვა) – იქნება ქრთამის მიცემა და ქრთამის აღება.

4. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

როგორც აღინიშნა, სამართალდამცავ ორგანოებს და სასამართლოებს, ხშირად მხედველობიდან რჩებათ ის ფაქტობრივი ნიუანსები, რომლებიც მნიშვნელოვანია ხსენებული დანაშაულების ერთმანეთისგან გასამიჯნად. ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე, 2022 წლის ივლისში, სასამართლომ დამნაშავედ ცნო ერთ-ერთი სახელმწიფო კომპანიის თანამდებობის პირი მენარმისგან განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღებაში (დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით),¹⁹ ისე რომ საერთოდ არაა მსჯელობა იმ გარემოებებზე, რომლებსაც შეიძლება წარმოეჩინა, რომ უფრო მართებული ყოფილიყო ამ პირის ქმედების კვალიფიკაცია საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულად. ამ განაჩენით დადგენილია, რომ სახელმწიფო საწარმოს ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, რომელიც ასევე იკავებდა შესყიდვების დეპარტამენტის უფროსის თანამდებობას, ქრთამის სახით ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, ტენდერში შესასყიდი ტექნიკის ჩამონათვალი და მათი სპეციფიკაციები წინასწარ მოარგო მასთან გარიგებულ საწარმოს და შედეგად ეს საწარმო გამოაცხადა გამარჯვებულად.²⁰ განაჩენით დადგენილად მიჩნეულია, რომ ხელშეკრულებით გადასარიცხი/გადარიცხული თანხები მიწოდებული საქონლის (ტექნიკის) თვითღირებულებას თითქმის ორჯერ აღემატება. ანუ მოხელესთან გათანაბრებულმა პირმა, არამარტო მოარგო ტენდერის პირობები საწარმოს და გამარჯვებულად გამოაცხადა, არამედ მასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ურიცხავდა საქონლის ღირებულებაზე ბევრად მაღალ თანხებს. ამ და სხვა ასეთი მეორე ტენდერის შემთხვევაში, ასეთმა სხვაობამ შეადგინა 594 545 ლარი. განაჩენში აღნიშნულია, რომ ხსენებულმა თანამდებობის პირმა ამ ორი ტენდერის ფარგლებში, მენარმისგან ქრთამის სახით ჯამში აიღო 215 025 ლარი, რის გამოც დამნაშავედ ცნო სასამართლომ ხსენებული მუხლებით.

განაჩენში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებებიდან ჩანს, რომ დამნაშავე იყო საწარმოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი, რომელიც წყვეტდა მთელ რიგ საკითხებს, მათ შორის ტენდერის გამოცხადების საკითხს, შესასყიდი პროდუქციის ჩამონათვალს, ფასებს და იმას თუ ვინ გახდებოდა გამარჯვებული. ეს ყველაფერი მიუთითებს, რომ ამ სახელმწიფო საწარმოს თანხები, რომელიც გადაერიცხა მენარმეს იყო მის მართლზომიერ მფლობელობაში და გამგებლობაში. შესაბამისად, თუ დადგინდებოდა საქმეზე ის ფაქტობრივი გარემოება, რომ თანამდებობის პირის ძალისხმევით, წინასწარი განზრახვით, მენარმეს გადაერიცხა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქციის ფასზე ხელოვნურად მაღალი თანხები იმ მიზნით, რომ ამ თანხების ნაწილი შემდგომ უკან დაუბრუნდებოდა, მაშინ ზემოაღნიშნული თანხა 215 025 ლარი, იქნებოდა არა ქრთამის საგანი, არამედ ე.წ. „ატკატი“ და მისი ქმედება დაკვალიფიცირდებოდა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მართლზომიერ მფლობელობაში და გამგებლობაში არსებული, ორგანიზაციის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხების მითვისებად, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რას სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვა-

¹⁹ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 11 ივლისის №1/3631-22 განაჩენი.

²⁰ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 11 ივლისის №1/3631-22 განაჩენი, 3-4.

დით 7-დან 11 წლამდე, მაშინ როდესაც განაჩენით გათვალისწინებული მუხლი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 11-დან 15 წლამდე. იმ შემთხვევაში თუ სადავო გახდებოდა ამ თანხების თანამდებობის პირის მართლზომიერ მფლობელობაში და გამგებლობაში არსებობა, რაც დამახასიათებელია მითვისებისთვის, მაშინ უფრო მართებული იქნებოდა ქმედების კვალიფიკაცია – სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით დიდი ოდენობით ორგანიზაციის კუთვნილი თანხების, ჯგუფურად (მენარმესთან ერთად) თაღლითურად დაუფლებით, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 6-დან 9 წლამდე. როგორც ცნობილია, თაღლითობას, მითვისებისაგან განსხვავებით არ სჭირდება სპეციალური ამსრულებელი (ანუ არაა აუცილებელი უკანონოდ დაუფლებული ქონება ყოფილიყო დამნაშავის მართლზომიერ მფლობელობაში და გამგებლობაში) და დაუფლების ხერხი არის მოტყუება. რა თქმა უნდა, მენარმე და სახელმწიფო ორგანიზაციის თანამდებობის პირი (რომელსაც მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში არ აქვს ეს ქონება) წინასწარ თუ შეთანხმდნენ ხელოვნურად გაბერილი თანხებზე ხელშეკრულების გაფორმებაზე, იმ მიზნით, რომ ორგანიზაციიდან შემდგომ ზედმეტად გადარიცხულ თანხებს ისინი ერთად დაეუფლებოდნენ (გაიყოფდნენ), ამ პირთა მოქმედებით, მოტყუებული და დაზარალებული იქნებოდა იურიდიული პირი – სახელმწიფო ორგანიზაცია და სახეზე იქნებოდა თაღლითობა.

ასევე, თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით, ქრთამის ალებაში სსკ-ის 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, დამნაშავედ ცნო ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი.²¹ განაჩენით დადგენილია, რომ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში მას ევალებოდა ერთ-ერთი საბავშვო ბაღის სარემონტო და კეთილმოწყობის სამუშაოებზე ზედამხედველობა და კონტროლი. ამასთან აღნიშნულია, რომ ხსენებულმა საჯარო მოხელემ სამუშაოების მწარმოებელი კომპანიის წარმომადგენელს შესთავაზა, რომ მანამდე სხვა კომპანიის მიერ უკვე შესრულებულ თაბაშირ-მუყაოს ჭერის მოწყობის სამუშაოებს (2 330 ლარის) შეიყვანდა მისი საწარმოს შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი (ფორმა N2-ში), თითქოს ეს სამუშაოებიც ამ კომპანიამ შეასრულა, რაშიც ქრთამის სახით მენარმეს უნდა გადაეცა მისთვის, ხსენებული თითქოსდა შესრულებული სამუშაოს ღირებულების ნახევარი, როდესაც შესაბამისი თანხა ამ აქტის საფუძველზე ჩაერიცხებოდა მუნიციპალიტეტიდან. ისინი შეთანხმდნენ და როდესაც მენარმეს, სპეციალისტის მიერ შედგენილი, ამ ყალბი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ზედმეტად ჩაერიცხა იმ სამუშაოების თანხა, რომელიც რეალურად მას არ შეუსრულებია, ამ თანხის ნახევარი, შეთანხმებისამებრ იმავე დღეს გადასცა ხსენებულ საჯარო მოხელეს²². მართალია, განაჩენში წერია, რომ საჯარო მოხელე და მენარმე შეთანხმდნენ და ქრთამის სახით მოითხოვა ერთმა და მეორემ გადასცა ქრთამის სახით თანხა, მაგრამ არის რეალურად ეს ქრთამის ალება? ეს კითხვა ჩნდება იქედან გამომდინარე, რადგან ეს თანხა, რომელიც მათ გაიყვეს, მათივე ქმედებიდან გამომდინარე, უკანონოდ, ზედმეტად გადაიხადა მუნიციპალიტეტმა. აქ მითვისება გამორიცხულია, რადგან შეიძლება ითქვას, რომ მუნიციპალიტეტის მთავარი სპეციალისტის მართლზომიერ მფლობელობაში და გამგებლობაში არ იყო მუნიციპალიტე-

²¹ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 16 თებერვლის №1/4929-16 განაჩენი.

²² თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 16 თებერვლის №1/4929-16 განაჩენი, 2.

ტის თანხები, რადგან მას ჰქონდა სამუშაოების ზედამხედველობის და კონტროლის ტექნიკური ფუნქცია, რომელიც შემდგომ კიდევ სამუშაოების საბოლოოდ დასრულების შემდეგ ექვემდებარება დამატებით ექსპერტიზას. აქედან გამომდინარე, ის ვერ იქნება მითვისების ამსრულებელი, მაგრამ ამ შემთხვევაში მართებული იქნებოდა მოხელის ქმედება დაკვალიფიცირებულიყო არა ქრთამის აღებით, არამედ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ჯგუფურად ჩადენილი თაღლითობით, რადგან სწორედ მათ მიერ შედგენილი ყალბი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე (სადაც ხელოვნურად იყო გაზრდილი სამუშაოების მოცულობა და ღირებულება), მოტყუვდა მერია და ზედმეტად გადაურიცხა ფული მენარმეს, რომელსაც უკანონოდ, ჯგუფურად დაუფლნენ მუნიციპალიტეტის თანამშრომელი და მენარმე. შესაბამისად, მართებული იქნებოდა, თუ საჯარო მოხელის ქმედება დაკვალიფიცირდებოდა, თაღლითობით, მენარმესთან ერთად.

ანალოგიურ პრობლემა წარმოიშობა კერძო სექტორში კორუფციული დანაშაულების ჩადენის დროსაც. როგორც ცნობილია, კერძო სექტორში „მექრთამეობა“ გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 221-ე მუხლით და მას „ქრთამის აღების და მიცემის“ ნაცვლად, ეწოდება „კომერციული მოსყიდვა“. საკანონმდებლო აგებულების მიხედვით, დაახლოვებით მსგავსია ეს მუხლები და ძირითადი განსხვავება ისაა, რომ 221-ე მუხლის ამსრულებელი არის არა საჯარო მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი, არამედ სანარმოს ან სხვა ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან იქ დასაქმებული პირი.

2019 წელს, რუსთავის საქალაქო სასამართლომ, ერთ-ერთი სანარმოს განყოფილების უფროსი და მისი თანამშრომელი დამნაშავედ ცნო სსკ-ის 221-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც გულისხმობს კომერციულ მოსყიდვას ჩადენილი ჯგუფურად.²³ განაჩენის მიხედვით, მათ ევალეობდათ სანარმოს მანქანა-მექანიზმების შესაკეთებლად საჭირო მასალების და დეტალური ნუსხის შედგენა და მომარაგება. მათი სანარმოს მიერ გამოცხადებულ იქნა ტენდერი ტექნიკის მიმდინარე შეკეთებასა და ტექნიკური მომსახურებაზე. მათ, ტენდერში გამარჯვებული კომპანიის წარმომადგენლებს, ტენდერის ფარგლებში განეული მომსახურების რეალური ღირებულების დაფარვის მიზნით (სანაცვლოდ), მოსთხოვეს სატენდერო ხელშეკრულებით გათვალისწინებული 5 440 ლარის გადაცემა. კერძოდ, ამ თანხის გადაცემის სანაცვლოდ დამნაშავე პირებმა დაამზადეს ყალბი შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც მიუთითეს, რომ თითქოს ტენდერში მონაწილე კომპანიამ, რეალურთან შედარებით, დაახლოვებით, 8 000 ლარით მეტი ღირებულების სამუშაოები შეასრულა. ამის სანაცვლოდ მათ აიღეს მოთხოვნილი 5 440 ლარი.²⁴ ამ შემთხვევაშიც სახეზეა იგივე პრობლემა რაზეც ზემოთ იყო საუბარი. კერძოდ, თუ დამნაშავეების ქმედების (მიღება-ჩაბარების აქტებში თანხების ხელოვნურად გაზრდა) შედეგად, სამუშაოების შემსრულებელ სანარმოს ზედმეტად გადაერიცხა 8 000 ლარი, ამ თანხით დაზარალდა და მოტყუვდა ტენდერის გამომცხადებელი სანარმო და ამ თანხას, ფაქტიურად თაღლითურად დაუფლნენ დამნაშავეები და სამუშაოების მწარმოებელი კომპანია. ანუ მათ ქრთამის სახით კი არ აიღეს 5 440 ლარი, არამედ ეს თანხა ფაქტიურად წარმოადგენს ე.წ. „ატკატს“ 8000 ლარიდან, რომელსაც წინასწარი შეთანხმებით უკანონოდ ან უსამართლოდ გადარიცხა დამნაშავეების მიერ შედგენილი ყალბი აქტების საფუძველზე სანარმოს ბიუჯეტიდან. შესაბამისად, დამნაშავეები და სამუშაოების შემსრულებელი პირები, ჯგუფურად, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, თაღლითურად

²³ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 02 სექტემბრის N1-387-19 განაჩენი.

²⁴ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 02 სექტემბრის N1-387-19 განაჩენი, 3.

რად დაეუფლნენ ორგანიზაციის კუთვნილ 8 000 ლარს, საიდანაც 5 440 ლარი ე.წ. „ატკატის“ სახით მიიღო ერთმა მხარემ, ხოლო დანარჩენი უკანონოდ დარჩა სამუშაოების შემსრულებელ სანარმოს. შესაბამისად, განაჩენით გასამართლებული პირების ქმედების კვალიფიკაცია უფრო მართებული იქნებოდა სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, რომელიც უფრო მეტ სასჯელს ითვალისწინებს, ვიდრე განაჩენში მითითებული – კომერციული მოსყიდვის მუხლი.²⁵

5. დასკვნა

ნაშრომში განხილული პრაქტიკული პრობლემები და სასამართლო გადაწყვეტილებები, ნათლად წარმოაჩენს, რომ ხშირად არც ისე ადვილია იმის გადამწყვეტა, კონკრეტული კორუფციული ქმედება დაკვალიფიცირდეს მექრთამეობად, თუ საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ შესაბამის დანაშაულად, რადგან საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ამსრულებელიც შეიძლება იყოს მექრთამეობის ამსრულებელი (მათ შორის საჯარო მოხელე). თუმცა ამ საკითხის სწორად გადამწყვეტა ძალზედ მნიშვნელოვანია, თუნდაც იმ სისხლისსამართლებრივი პრინციპიდან გამომდინარე, რომლის მიხედვითაც არავინ არ უნდა აგოს პასუხი იმ ქმედებისთვის, რომლის მას არ ჩაუდენია, მაშინ როდესაც პირის მიერ რეალურად ჩადენილი ქმედება ნაკლებ სასჯელს ითვალისწინებს. არცრიმაზე უფრო მკაცრი სასჯელი შეიძლება შეეფარდოს ვინმეს, ვიდრე სასჯელი, რომელიც გამოიყენებოდა დანაშაულის ჩადენის დროს²⁶. როგორც აღინიშნა სსკ-ს 338-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაული – ქრთამის აღება – უფრო მაღალ სასჯელს ითვალისწინებს, ვიდრე საკუთრების წინააღმდეგ მიმართული შესაბამისი დანაშაულები. გარდა ამისა, როგორც ითქვა, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია ნიშნავს ნორმის ზუსტ შესაბამისობას ქმედებასთან და ამასთან, ამ მუხლებთან მიმართებაში მოქმედებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ხანდაზმულობის სხვადასხვა ვადები. ვინაიდან კორუფცია სახელმწიფოების განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა, აქედან გამომდინარე, მართალია, სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა გაატარონ მკაცრი ღონისძიებები და პოლიტიკა კორუფციულ დანაშაულებთან საბრძოლველად, მაგრამ რა თქმა უნდა, საჭიროა მოხდეს ხოლმე ფაქტობრივი გარემოებების და დეტალების უფრო ღრმა გამოკვლევა, რათა სწორად მოხდეს ქმედების კვალიფიკაცია.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკოსმა იურისტებმა ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ ქრთამის აღებასა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს შორის განსხვავება არის ის, რომ სსკ-ის 338-ე მუხლის შემთხვევაში მოხელე ქონებას ან სხვა რაიმე ქონებრივ სიკეთეს იღებს (მდიდრდება) სხვა კერძო პირისგან, ვისთვისაც სანაცვლოდ ახორციელებს კონკრეტულ ქმედებას, ხოლო სსკ-ის 182-ე ან/და 180-ე მუხლების შემთხვევაში, პირი მდიდრდება არა მესამე პირის მიერ გადაცემული ქონებით, არამედ იმ საჯარო თუ კერძო ორგანიზაციის ქონების ხარჯზე, რომლის წარმომადგენელიც თავად იყო. ქრთამის აღებისას პირი პირად სარგებლს იღებს სხვა, მესამე პირის ხარჯზე, ხოლო მითვისების/თაღლითობის შემთხვევაში – დამსაქმებელი სახელმწიფო ან კერძო ორგანიზაციის ხარჯზე. ამ გარემოებების გასარკვევად, გამოძიების მიმდინარეობისას, საჭიროა დადგინდეს ვის თანხას

²⁵ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე და 221-ე მუხლი.

²⁶ „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენციის მე-7 მუხლის ბოლო წინადადება, რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი.

დაეუფლა საჯარო მოხელე, ეს იყო სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით სახელმწიფო ორგანიზაციის კუთვნილი თანხის დაუფლება, თუ კერძო პირის მიერ მისთვის, რალაცის სანაცვლოდ, პირადი სახსრებიდან გადაცემული თანხა. ასევე მნიშვნელოვანია, გამოძიების სტადიაზე მაქსიმალურად მიახლოვებულად აღდგეს იმ გარიგების და შეთანხმების ნიუანსები, რაზედაც წინასწარ მოილაპარაკეს გარიგებულმა საჯარო მოხელემ და კერძო პირმა კონკრეტულ თანხებთან დაკავშირებით.

ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 22/07/1999.
2. საქართველოს კანონი „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, 17/10/1997.
3. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენცია, რომი, 1950.
4. საქართველოს პრეზიდენტის №550 ბრძანებულება „საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“, 24/06/2005, (ძალადაკარგულია – 04/06/2010).
5. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულება, 30/08/2014.
6. ინწკორველი გ. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2003, 171.
7. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2019, 521.
8. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, თბ., 2020, 390.
9. ნაჭყებია გ. ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, გამომც. „ინოვაცია“, თბ. 2010, 11-14.
10. ნულაია ზ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი.(II ტომი) გამომც. „ინტელექტი“ თბ., 2001, 90-91.
11. ხუბუა გ., სამართლის თეორია, გამომცემლობა მერიდიანი, თბ., 2004, 153.
12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 10 თებერვლის №57აპ.-19 განაჩენი.
13. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 11 ივლისის №1/3631-22 განაჩენი.
14. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 16 თებერვლის №1/4929-16 განაჩენი.
15. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 02 სექტემბრის №1-387-19 განაჩენი.
16. Criminal Law Convention on Coraption (Council Of Europe; Strasbourg, 1999).
17. United Nations Convention Against Corruption (New York, 2003).
18. Gray C.W., Kaufmann D., Corruption and Development, Finance & Development, March 1998, 7.
19. Lackner/Kühl, Strafgesetzbuch: StGB Kommentar, 29. Aufl. 2018, § 246, Rn. 1-15.
20. Schroth P. W., Corruption and Accountability of the Civil Service in the United States. The American Journal of Comparative Law, vol. 54, 2006, 553–579.
21. Häberle, P., Grundrechtsgeltung und Grundrechtsinterpretation im Vefassungsstaat Zugleich zur Rechtsvergleichung als „fünfter“ Auslegungsmethod, in.: Juristische Zeitschrift, 1989, 193.
22. <<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=3657>> [14.03.2023].
23. <https://www.unodc.org/documents/treaties/UNCAC/Publications/Convention/08-50026_E.pdf> [15.03.2023].
24. <<https://www.imf.org/external/pubs/ft/fandd/1998/03/pdf/gray.pdf>> – [16/03/2023].
25. <<https://csogeorgia.org/ge/newsPost/27763>> – [17.03.2023].